

**მუხლი 587. ქვეიჯარა**

1. მოიჯარეს არა აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე.
2. მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.
3. მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარემ ან დამქირავებელმა ნივთი სხვანაირად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული. მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის ან დამქირავებლის მიერ ქონების ამგვარად გამოყენება.

**I. ზოგადი დებულებები**

**1. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი**

1

მუხლის ნორმის მიზანია მეიჯარის ინტერესების დაცვა იჯარის საგნის ქვეიჯარით გადაცემისათვის თანხმობის მიღების აუცილებლობის დადგენით. ქირავნობის მსგავსად, იჯარაც ჩვეულებრივი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა და იგი არსებობს განსაზღვრულ პირებს შორის. შესაბამისად, ამ ურთიერთობაში მესამე პირის შემოსვლა იჯარის საგნით სარგებლობის უფლების მინიჭებით საჭიროებს მეიჯარის თანხმობას.

**II. ქვეიჯარა**

ქვექირავნობის მსგავსად, ქვეიჯარა წარმოიშობა მოიჯარის მიერ იჯარის საგნის მესამე პირის — ქვემოიჯარის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში. ქვეიჯარის შემთხვევაში ქვემოიჯარესთან უშუალო ურთიერთობას ამყარებს მოიჯარე; ეს უკანასკნელი ამ ურთიერთობაში გამოდის მეიჯარის როლში.

ქვეიჯარა თანხმობასავალდებულო გარიგებაა (99) და იგი დამოკიდებულია მეიჯარის თანხმობაზე. მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

**III. მოიჯარის პასუხისმგებლობა ქვემოიჯარის მოქმედებებისათვის**

4

მიუხედავად იმისა, ქვეიჯარა (ქვეიჯარის ხელშეკრულება) — ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებაა ყველა უფლებითა და ვალდებულებით, მოიჯარე მაინც რჩება პასუხისმგებელი მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარემ იჯარის საგანი სხვაგვარად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული; მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის მიერ ქონების ამგვარად გამოყენება.